

შ.პ.ს. ალტა - LLC ALTA – 211380691

ბელიაშვილის ქ. 104

0159 თბილისი, საქართველო

104, Beliaashvili Str.

0159 Tbilisi, Georgia

T +995 32 2510111

info@alta.com.ge

www.alta.ge



ტექნიკური დავალება

სამგორი მოლის იჯარით აღებულ ფართში სარემონტო და საინჟინრო სამუშაოების განხორციელება საპროექტო-სააღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებით.

1. ზოგადი მოთხოვნები:

- 1.1. ტექნიკური დავალება განსაზღვრავს იჯარით აღებული ფართის საპროექტო, სარემონტო და საინჟინრო სამუშაოების ჩამონათვალს და პროცედურას.
- 1.2. სარემონტო სამუშაოების ადგილმდებარეობა: საქართველო, თბილისი, მოსკოვის გამზირი #2, სამგორი მოლი.
- 1.3. სამუშაოების ტიპი: ფართის საპროექტო, სარემონტო და საინჟინრო სამუშაოები.
- 1.4. შასასრულებელი სამუშაოები: ელექტრონიკის მაღაზიაში რემონტზე, საინჟინრო სამუშაოებზე და საპროექტო-სააღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებაზე (მოწოდებაზე) მუშაობა.

2. მოთხოვნები საპროექტო-სააღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებისთვის:

- 2.1. საპროექტო-სააღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და ჰიგიენური, გარემოსდაცვითი და სხვა სტანდარტების მოთხოვნებს.
- 2.2. საპროექტო დოკუმენტაცია დამკვეთს გადაეცემა დაბეჭდილი 4 (ოთხი) ეგზემპლარად და ელექტრონული სახით (* .dwg და .pdf ფორმატებში).
- 2.3. მაღაზიაში სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ საჭიროა ე.წ. „ეს-ბილთ“ ნახაზების მოწოდება, რომელიც უნდა შეიცავდეს: თარიღს, პროექტის ავტორის სახელს, ხელმოწერას და შტამპს.
- 2.4. უნდა იყოს მოწოდებული ზუსტი სპეციფიკაციები:
 - ✚ იატაკი
 - ✚ კედლები
 - ✚ ჭერი
 - ✚ არქიტექტურული
 - ✚ ინჟინრული
- 2.5. არქიტექტურული გეგმა უნდა მოიცავდეს:

შ.პ.ს. ალტა - LLC ALTA – 211380691

ბელიაშვილის ქ. 104

0159 თბილისი, საქართველო

104, Beliaashvili Str.

0159 Tbilisi, Georgia

T +995 32 2510111

info@alta.com.ge

www.alta.ge



- ✚ მაღაზიის კონცეფცია.
- ✚ ფართის გეგმა ზომებით.
- ✚ მაღაზიის დიზაინი.
- ✚ იატაკის გეგმა.
- ✚ განათების გეგმა.
- ✚ ჭერის გეგმა.
- ✚ ინტერიერის კედლების განშლა.
- ✚ ბრენდ ზონები.
- ✚ ნავიგაციის და სარეკლამო ელემენტები.
- ✚ ავეჯისა და ტექნიკის გეგმა.
- ✚ დეტალური ფასადის ნახაზი.

2.6. ელექტრო სისტემის ნახაზი უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- ✚ LVDB სქემას
- ✚ გამანაწილებელი ფარის დეტალური ელექტრო სქემა.
- ✚ შემავალი კაბელის სექცია.
- ✚ გამავალი კაბელის სექცია.
- ✚ კაბელის სახეობა/სპეციფიკაცია.
- ✚ შიდა კომპონენტების მახასიათებლები/სპეციფიკაცია.
- ✚ კვება და თითოეული დაერთებული დატვირთვის სახეობა.
- ✚ ყველა ფარის შიდა კომპონენტის ზუსტი სახეობისა და მწარმოებლის სია.

დატვირთვის კალკულაციის ცხრილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ✚ ავტომატური ამომრთველების ნომინალები.
- ✚ ყველა დაერთებული დატვირთვა.
- ✚ თითოეული დატვირთვის ძაბვა/ვოლტაჟი.
- ✚ თითოეული დატვირთვის სიმძლავრე.
- ✚ არსებული თითოეულ დატვირთვაზე (ამპერი).
- ✚ თითოეული დატვირთვის სიმძლავრის ფაქტორი.
- ✚ თითოეული დატვირთვის მოთხოვნის/საჭიროების ფაქტორი.

განათების გეგმა უნდა მოიცავდეს:

- ✚ ყველა განათების ერთეული.

შ.პ.ს. ალტა - LLC ALTA – 211380691

ბელიაშვილის ქ. 104

0159 თბილისი, საქართველო

104, Beliaashvili Str.

0159 Tbilisi, Georgia

T +995 32 2510111

info@alta.com.ge

www.alta.ge



- ✚ ყველა ჩამრთველის/გამომრთველის ერთეული.
- ✚ გამანაწილებელი ფარის ადგილმდებარეობა.
- ✚ კაბელდაერთების დაწვრილებითი სქემა.
- ✚ გასასვლელის ნიშნისა და საევაკუაციო განათების გეგმა.

როზეტების გეგმა უნდა მოიცავდეს:

- ✚ ყველა როზეტის ერთეული.
- ✚ კაბელდაერთების სქემა - კაბელის ნომინალით და მოდელით.
- ✚ გამანაწილებელი ფარის ადგილმდებარეობა.

კაბელსატარების, კაბელების და მათი დაერთებების გეგმა უნდა მოიცავდეს:

- ✚ კაბელსატარის გეგმა.
- ✚ კაბელების დაერთების გეგმა.

2.7. ვენტილაცია, გათბობა, გაგრილების სისტემა უნდა შეიცავდეს:

ფანკოილების ნახაზი უნდა მოიცავდეს:

- ✚ ფანკოილის გაგრილების სიმძლავრე.
- ✚ ფანკოილის სახეობა, მწარმოებელი, მოდელი.
- ✚ სარქველის სპეციფიკაცია.
- ✚ მილების დიამეტრი და მასალა.
- ✚ მილების საიზოლაციო მასალა.
- ✚ კონდიციონერბადი წყლის გადინების მილი (დიამეტრი, მასალა).
- ✚ მაღაზიაში თერმოსტატის ადგილმდებარეობა.
- ✚ ფანკოილის დაერთების დეტალები სარქველის პაკეტთან ერთად.
- ✚ ფანკოილის ჰაერსატარის ზომა - მოდინება/გადინება.
- ✚ ფანკოილის ცხურის/დიფუზორის ზომები ჰაერის ნაკადის დეტალებთან ერთად.
- ✚ გათვლების/კალკულაციის ახსნა-განმარტება.
- ✚ ჰაერსატარისა და საიზოლაციო მასალის სპეციფიკაცია.
- ✚ მილების საიზოლაციო მასალის სპეციფიკაცია.
- ✚ მილების სახეობა, მწარმოებელისა და მოდელის სია.

ვენტილაციის გეგმა უნდა მოიცავდეს:



- ✚ მოდინებისა და გამწოვი მილების დიამეტრი თითოეულ განშტოებაზე.
- ✚ ჰაერის მოწოდების რაოდენობა თითოეულ განშტოებაზე მკ/სთ.
- ✚ დამპერის/დიფუზორის/ცხურის ზომა ან დიამეტრი.
- ✚ გათვლების/კალკულაციის ახსნა-განმარტება.
- ✚ ჰაერსატარებისა და საიზოლაციო მასალის სპეციფიკაცია.
- ✚ დამპერი/დიფუზორი/ცხურის სპეციფიკაცია.
- ✚ უარყოფითი წნევის სწორი დაანგარიშება თავის მოცულობასთან ერთად.

2.8. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა.

ნახაზი უნდა მიიცავდეს:

- ✚ ქვედა სპრინკლერის ადგილმდებარეობა.
- ✚ ქვედა სპრინკლერის დაერთების დეტალური ნახაზები.
- ✚ ზედა სპრინკლერის ნახაზები და დეტალები.
- ✚ სახანძრო ჰიდრანტის ყუთის ადგილმდებარეობა. (საჭიროების შემთხვევაში)
- ✚ ცეცხლმაქრი ბალონის ადგილმდებარეობა.
- ✚ ხანძარ აალებადი მასალების ჩამონათვალი.
- ✚ სპრინკლერის თავის სახეობა, მწარმოებელისა და მოდელის სია. ამუშავების ტემპერატურა, რეაგირების დრო და წყლის ხარჯი.

2.9. სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა.

ნახაზი უნდა მოიცავდეს:

- ✚ კვამლის დეტექტორის ადგილმდებარეობა.
- ✚ თბური დეტექტორის ინდიკატორებით ადგილმდებარეობა.
- ✚ სახანძრო სიგნალიზაციის დინამიკის ადგილმდებარეობა.
- ✚ საგანგაშო ლილავის (MCP) ადგილმდებარეობა მაღაზიის გასასვლელთან.
- ✚ სისტემის სახეობა, მწარმოებელისა და მოდელის სია.

2.10. წყლის/კანალიზაციის სისტემა.

წყლის მოწოდების ნახაზი უნდა მოიცავდეს:

- ✚ ცივი და ცხელი მილების გეგმა.
- ✚ მილების დიამეტრი.
- ✚ სარქველის სპეციფიკაცია.

შ.პ.ს. ალტა - LLC ALTA – 211380691

ბელიაშვილის ქ. 104

0159 თბილისი, საქართველო

104, Beliaashvili Str.

0159 Tbilisi, Georgia

T +995 32 2510111

info@alta.com.ge

www.alta.ge



კანალიზაციის სისტემის ნახაზი უნდა მოიცავდეს:

- ✚ საკანალიზაციო მილების გეგმა.
- ✚ ყველა სახის მილის დიამეტრი.
- ✚ ტრაპის(ების) ადგილმდებარეობა.

3. მოთხოვნები სამუშაოს წარმოების, მასალების ხარისხისა და ტექნიკური მახასიათებლების მიმართ:

- 3.1. შესრულებული სამუშაოები და ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტიპის სამუშაოებისთვის დადგენილ მოქმედ სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო, ხანძარსაწინააღმდეგო და სინიტარული ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.
- 3.2. გამოყენებული მასალები და აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს და ტექნიკურ მახასიათებლებს.
- 3.3. ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს არააალებადი, თვითქრობადი და ჰალოგენისგან განთავისუფლებული.
- 3.4. სამუშაოს შესრულებისას აუცილებელია დამკვეთთან მასალების ჩამონათვალის შეთანხმება.

4. მოთხოვნები კონტრაქტორის მიმართ:

- 4.1. სამშენებლო ნაგვის გატანა უნდა მოხდეს მოლის დახურვის შემდეგ.
- 4.2. სამშენებლო სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს მოლის დახურვის შემდეგ. არახმაურიანი და არამტვრიანი სამუშაოების წარმოება დღის განმავლობაში შესაძლებელი.
- 4.3. დაუშვებელია შეკიდულ ჭერში საყრდენ კონსტრუქციად ხის მასალის გამოყენება.
- 4.4. დიფერენციალური დაცვის ავტომატური ამომრთველი უნდა იყოს დაყენებული ელექტრო ფარში.
- 4.5. ჟალუზები უნდა მუშაობდეს გამართულად და გააჩნდეს, როგორც ავტომატური ასევე მექანიკური მექანიზმი.
- 4.6. ჟალუზი დაერთდეს უწყვეტი კვების ბლოკზე (UPS). UPS-ზე და ცალკე ჯგუფზე.
- 4.7. ჰიდროიზოლაციის მოპირკეთებით უნდა იყოს დაფარული საპირფარეშოებისა და სამზარეულოს ზონები.
- 4.8. გიბსო კორდონის ჭერის შემთხვევაში არის აუცილებელი სასიარულო კონსტრუქციის მოწყობა.

შ.პ.ს. ალტა - LLC ALTA – 211380691

ბელიაშვილის ქ. 104

0159 თბილისი, საქართველო

104, Beliaashvili Str.

0159 Tbilisi, Georgia

T +995 32 2510111

info@alta.com.ge

www.alta.ge



- 4.9. კაბელის დაერთებისას გასათვალისწინებელია გადაბმის მეთოდი. გადაბმა მოხდეს გამანაწილებელ კორობში სადენის საკონტაქტო ელემენტის საშუალებით.
- 4.10. ყველა სანათი უნდა იყოს დამიწებული.
- 4.11. ელ.ფარიდან დაუშვებელია განათების ან სხვა მომხმარებლის გათიშვა საჭიროების გარეშე. განათების ჩართვა/გამორთვა უნდა ხდებოდეს ჩამრთველის საშუალებით. ელ.ფარის კარზე უნდა დამონტაჟდეს ძალოვანი კონტაქტორის ჩამრთველი, რომელიც ავტომატურად რთავს ძაბვას ფართში.
- 4.12. შეკიდული ჭერის არსებობის შემთხვევაში შიგნით დამონტაჟდეს ტექნიკური განათება.
- 4.13. ელექტრო ფარი უნდა იყოს მეტალის. ფარის კორპუსი და კარი უნდა იყოს დამიწებული.
- 4.14. ყველა მრავალწვერა კაბელის დაერთება მოხდეს ბუნიკების გამოყენებით.
- 4.15. ავტომატური ამომრთველებისგან გამოსული კაბელი უნდა დაერთდეს შუალედურ სადენის საკონტაქტო ელემენტზე (კლემნიკზე), რაზეც შემდგომ დაერთდება ჯგუფის კაბელი.
- 4.16. სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ ჩატარდეს ელექტრო წრედის ტესტი და ყველა ხარვეზი აღმოიფხვრას ადგილზე.

5. სამუშაოების ჩაბარება დამკვეთისთვის:

- 5.1. საპროექტო, სარემონტო და საინჟინრო სამუშაოების ჩაბარება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის მეშვეობით.
- 5.2. ხარვეზების შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია ხელი არ მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარებას.
- 5.3. შემსრულებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში მოახდინოს ხარვეზების აღმოფხვრა. თუ ხარვეზები მაღაზიას ხელს უშლის ოპერირებაში, ხარვეზების აღმოფხვრა უნდა მოხდეს იგივე დღეს.

შედგენილია:

ნინო ფრანგიშვილი - ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი.

ხელმოწერა: